საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები

სარჩევი

1. შესავალი 3

2. საკანონმდებლო ცვლილებები 5

3. სტანდარტები და ტექნოლოგიები 6

4. სამომხმარებლო მოწყობილობები -„ სეთ–თოფ–ბოქსები“ და შესაბამისი სპეციფიკაციები 7

5. სიხშირული დიაპაზონები და მათი სამომავლო გამოყენების საკითხი 7

6. გარდამავალი და გრძელვადიანი პერიოდისათვის ციფრული სამაუწყებლო ქსელების/ მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის დაგეგმარებული სიხშირული რესურსი..... 8

6.1 ღია კონკურსი, ხუთი მულტიპლექს პლატფორმა და შესაბამისი ვალდებულებები 10

6.1.1 ლოტი A (მულტიპლექს პლატფორმა 1) 10

6.1.2 ლოტი B (მულტიპლექს პლატფორმა 2) 12

6.1.3 ლოტი C, D და E (მულტიპლექს პლატფორმები 3, 4 და 5) 13

6.1.4 ღია კონკურსის მოდელი და რეკომენდაციები 13

6.2 მულტიპლექს პლატფორმა 6/საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის განკუთვნილი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელი 16

6.3 ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობა და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირება 17

7. ტექნიკური მოთხოვნები და რეკომენდაციები 20

7.1 „ოპერირების წესები“ და მასთან შესაბამისობა 20

7.2 დაფარვის ვალდებულებები და რეკომენდაციები 20

8. პარალელური მაუწყებლობის პერიოდი 21

9. საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა კომპენსირება 22

10. სამომხმარებლო საკითხები, სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა და საინფორმაციო უზრუნველყოფა 23

1. შესავალი

ანალოგური მიწისზედა ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე მიგრაცია სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს, რომელიც განხორციელდება მთავრობის მიერ განსაზღვრული **წინამდებარე სამოქმედო გეგმისა და რეკომენდაციების შესაბამისად**. მიგრაციის პროცესის წარმატებით განხორციელება კი საჭიროებს ქვეყნის აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიზანმიმართულ და კოორდინირებულ მუშაობას მაუწყებლებთან, საზოგადოებასთან და ინვესტორებთან, ისევე, როგორც მეზობელ ქვეყნებთან აქტიურ და მჭიდრო თანამშრომლობას.

რეფორმის **მთავარი მიზანია:**

- გამოხატვის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა;
- სამაუწყებლო ბაზრის, საქართველოში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის განვითარების წახალისება;
- საეთერო სამაუწყებლო ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანა;
- შეზღუდული ბუნებრივი რესურსის - რადიოსიხშირეების მაღალეფექტურად გამოყენების ხელშეწყობა;
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, ალტერნატიული საეთერო ციფრული მიწისზედა მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების ხელშეწყობის გზით;
- მრავალფეროვან და მაღალხარისხიან საეთერო სამაუწყებლო კონტენტზე მომხმარებელთა წვდომის უზრუნველყოფა;
- საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების განვითარება და
- დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

ჟენევის 2006 წლის ხელშეკრულების (GE-06) ფარგლებში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) წევრი ქვეყნების, მათ შორის - საქართველოს, საერთაშორისო ვალდებულებას წარმოადგენს. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერით, (რომელიც არეგულირებს ციფრული და ანალოგური მაუწყებლობისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გამოყენების ნორმებს, ვადებს და კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს), საქართველოს მთავრობამ განსაზღვრა ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) 1–ლი რეგიონისათვის (სადაც საქართველოსთან ერთად შედის ევროპა, აფრიკა და აზიის დიდი ნაწილი) - 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ვადად; მოცემული გულისხმობს, რომ აღნიშნული თარიღის შემდეგ ქვეყნების ფარგლებში

მოქმედი ანალოგური სატელევიზიო სიგნალები აღარ იქნება სამართლებრივად დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან წარმოქმნილი ხელშეშლებისგან.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაცია კი, თავის მხრივ, რთულ პროცესს წარმოადგენს. კერძოდ, ვინაიდან ყოველი ქვეყანა ვალდებულია (როგორც საკუთარი, ასევე მეზობელი ქვეყნების), ანალოგური სამაუწყებლო სიგნალი დაიცვას ხელშეშლებისაგან 2015 წლის 17 ივნისამდე და ამავდროულად, უზრუნველყოს ციფრულ მაუწყებლობაზე მიგრაცია, (რაც თავის მხრივ, გულისხმობს გარდამავალ ეტაპზე, ე.წ. ”Simulcast”-ის პერიოდში, ანალოგური და ციფრული სამაუწყებლო სიგნალების პარალელურ რეჟიმში გავრცელებას), საჭიროა, არსებული სიხშირული რესურსის ფარგლებში სამაუწყებლო არხები განაწილდეს ისეთი პრინციპით, რომ გარდამავალ ეტაპზე არ მოხდეს ციფრულ და ანალოგურ სამაუწყებლო სიგნალებს შორის ხელშეშლა, როგორც ერთი ქვეყნის მასშტაბით, ასევე მეზობელ ქვეყნებს შორის.

ზემოაღნიშნული მიგრაციის პროცესი კი კიდევ უფრო გაართულა მსოფლიო და ევროპის მასშტაბით მიმდინარე ტენდენციამ - კერძოდ, თავდაპირველად ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებისათვის განკუთვნილი 800 მჰც და 700 მჰც სიხშირული დიაპაზონების (ე.წ. “Digital Dividend 1 and 2”) მობილური ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებისათვის განაწილებამ - რომლითაც შეიზღუდა ხელმისაწვდომი სამაუწყებლო არხების რაოდენობა და დღის წესრიგში დადგა (გარდამავალი ეტაპისათვის) უკვე დაგეგმილი და მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებული ციფრული სამაუწყებლო არხების გადაგეგმარების საკითხი.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ტენდენცია გამოწვეული იქნა, როგორც უსადენო ფართოზოლოვან მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნით, ასევე - ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ტექნოლოგიების დახვეწითა და ახალი DVBT-2 სტანდარტისა და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG-4 ტექნოლოგიის შემუშავებით, რაც ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისათვის გამოყოფილი სიხშირეების უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შესაბამისად, მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში, უფრო მეტი სამაუწყებლო არხის გავრცელების საშუალებას იძლევა.

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 5 დეკემბრის №1-1/1905 ბრძანებით შეიქმნა ”საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სათათბირო ორგანო - „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო”, რომლის შემადგენლობაში შედიან სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, ტელემაუწყებლებისა და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების წარმომადგენლები, სფეროს წამყვანი ექსპერტები და სპეციალისტები.

ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის შესახებ წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ყველა დაინტერესებული პირის (უპირველეს ყოვლისა ადგილობრივი და ეროვნული საეთერო მაუწყებლების) არგუმენტირებული მოთხოვნების გათვალისწინებით, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების,

მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა" და „გამჭვირველობა საქართველოს" აქტიური ჩართულობითა და მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ამავდროულად, ასახავს და ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი რეკომენდაციების შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების დარგის სამომავლო განვითარების ტენდენციები და მიმართულებები, ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმების მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის, ასევე, დარგში ინვესტიციების მოზიდვის საკითხები, ისევე, როგორც ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხები.

2. საკანონმდებლო ცვლილებები

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველო იღებს ვალდებულებას, მაუწყებლობის სფეროში ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს აუდიოვიზუალური მედია სერვისის 2010/13/EU დირექტივასთან, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა კი დაუახლოვოს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2002/21/EC, 2002/20/EC, 2002/19/EC, 2002/22/EC, 2002/58/EC დირექტივებს.

მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტი ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ უნდა გაიმიჯნოს ტელემაუწყებლობა/სატელევიზიო კონტენტის წარმოების საქმიანობა ელექტრონული საკომუნიკაციო (მათ შორის ტელემაუწყებლობისათვის განკუთვნილი) ქსელების უზრუნველყოფის საქმიანობისაგან[1]. შესაბამისად, კანონი მაუწყებლობის შესახებ უნდა მოიცავდეს ტელემაუწყებელთა და ტელესამაუწყებლო კონტენტის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ხოლო საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ უნდა არეგულირებდეს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფასთან და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის მართვისა და გაცემის წესებს. (შენიშვნა: მოცემული არ ეხება რადიომაუწყებლობის რეგულირებას).

ციფრულ მიწისზედა ტელემაუწყებლობაზე გადასვლასთან ერთად, იცვლება საეთერო ტელემაუწყებელთა არსებული ბიზნეს-მოდელი. შესაბამისად, შემუშავებული

[1] მიუხედავად იმისა, რომ გამიჯნული იქნება სამაუწყებლო კონტენტის წარმოების საქმიანობა ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის უზრუნველყოფის საქმიანობისაგან, აღნიშნული **არ ნიშნავს**, რომ მაუწყებლებს არ ექნებათ უფლება მოიპოვონ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება და განახორციელონ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ოპერატორის საქმიანობა.

ცვლილებების პროექტით უქმდება **ტელემაუწყებელთა ლიცენზირების რეჟიმი**, სადაც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტელე-სამაუწყებლო ბაზარზე დაშვების გამარტივებული ფორმა, კერძოდ, ტელემაუწყებელთა ავტორიზაციის ერთიანი წესი, რომელიც საშუალებას მისცემს ტელემაუწყებელს, მის მიერ წარმოებული სატელევიზიო კონტენტი გაავრცელოს მისთვის სასურველი, მათ შორის, ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელით.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტით განსაზღვრულია ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის გაცემის წესები და ლიცენზიის მფლობელთა ზოგადი უფლებები და ვალდებულებები.

საკანონმდებლო ცვლილებების ჭრილში ახლებურად დამუშავდება **„სავალდებულო ტრანზიტისა“ და კონცენტრაციის აკრძალვის**[2] რეგულაცია, რათა ადეკვატურად აისახოს ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში სატელევიზიო პროგრამების **ღია ეთერით გავრცელებასთან დაკავშირებული სპეციფიკა**.

3. სტანდარტები და ტექნოლოგიები

საქართველო, რადიოსიხშირეების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების მიზნით, ეროვნული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელების დასანერგად გამოიყენებს დღეისათვის ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ და აპრობირებულ DVB-T2 (EN 302 755)[3] სტანდარტს, მონაცემთა შემჭიდროვების MPEG 4 (ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ერთი მულტიპლექს პლატფორმისათვის გამოყოფილი სიხშირული რესურსის ფარგლებში, გავრცელდეს საშუალოდ 15-მდე სტანდარტული გარჩევადობის (SD) ან 4-დან 6-მდე მაღალი გარჩევადობის (HD) სატელევიზიო პროგრამა.

აღნიშნული სტანდარტი სავალდებულო იქნება ყველა **ეროვნული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმისთვის**, თუმცა **ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის** ფორმირებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, ასევე, DVB-T სტანდარტი და მონაცემთა შემჭიდროვების როგორც MPEG 4 ასევე MPEG 2 ტექნოლოგია.

[2] მოცემული დარეგულირდება მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, რომლის თაობაზეც განხორციელდება საჯარო კონსულტაციები დაინტერესებულ პირებთან.

[3] ETSI EN 302 755 V1.3.1 (2012-04) სტანდარტის ქართული ნომერი - სსტ ეტსი ენ 302 755 1.3.1: 2012/2013

4. სამომხმარებლო მოწყობილობები -„ სეთ–თოფ–ბოქსები“ და შესაბამისი სპეციფიკაციები

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე ეფექტურად მიგრაციისა და საქართველოს ფარგლებში ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელებისა და სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობების ე.წ. „სეთ-თოფ-ბოქსების“ ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, შემუშავდა „სეთ-თოფ-ბოქსების“ დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტი[4], რომლითაც რეკომენდებულია, იხელმძღვანელონ მიმღები მოწყობილობების იმპორტით დაინტერესებულმა პირებმა/ პოტენციურმა ინვესტორებმა.

ყველა „სეთ-თოფ-ბოქსი“, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისათვის, რეკომენდებულია, იყოს სერტიფიცირებული და შეესაბამებოდეს დოკუმენტით განსაზღვრულ ერთიან ნორმებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, რომ „სეთ-თოფ-ბოქსებმა“ უნდა უზრუნველყონ სხვადასხვა სტანდარტის (DVB-T/DVB-T2) ციფრული ქსელების ფარგლებში გავრცელებული ღია საეთერო და კრიპტო-კოდირებული, როგორც სტანდარტული, ასევე მაღალი გარჩევადობის სიგნალების ანალოგურ ფორმატში გარდაქმნა ან/და დეკოდირება.

5. სიხშირული დიაპაზონები და მათი სამომავლო გამოყენების საკითხი

მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებისა და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში, სამაუწყებლო სიხშირეთა ნაწილი (კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონი 2014 წლიდან, ხოლო 700 მჰც დიაპაზონი 2015 წლის შემდგომ) გამოყენებული იქნება უსადენო ფართოზოლოვანი ტექნოლოგიების დასანერგად, რაც ხელს შეუწყობს მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, სერვის-დეფიციტურ რეგიონებში ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარებასა და ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

UHF, კერძოდ - 470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში არსებული რესურსი გამოთავისუფლდება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ და ხანგრძლივი პერიოდით გახდება ხელმისაწვდომი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებისათვის.

ანალოგური მაუწყებლობის გათიშვამდე, სიხშირეების სიმწირის გამო, ე.წ. 700 მჰც, კერძოდ 694-790 მჰც დიაპაზონის ფარგლებში არსებული სიხშირული რესურსი

[4] „ სეთ-თოფ-ბოქსების“ ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე- www.economy.ge

გამოყენებული იქნება გარდამავალ ეტაპზე ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფუნქციონირებისათვის.

ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წლის 17 ივნისის შემდეგ, VHF III, კერძოდ 174-230 მჰც სიხშირულ დიაპაზონში არსებული რესურსი გამოყენებული იქნება ***ადგილობრივი*** (DVB-T ან T2 სტანდარტის) ***მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის***. მოცემული გადაწყვეტილება გულისხმობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი სიხშირეების ათვისებას.

6. გარდამავალი და გრძელვადიანი პერიოდისათვის ციფრული სამაუწყებლო ქსელების/ მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის დაგეგმარებული სიხშირული რესურსი

ციფრული მიწისზედა მაუწყებლობისათვის გრძელვადიანი პერიოდით ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, იმ რესურსის გათვალისწინებით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საქართველოში ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის შემდგომ (470-694 მჰც სიხშირულ დიაპაზონებში), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, ექსპერტების დახმარებით, განხორციელდა **შვიდი**[5] (სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის) **ეროვნული დაფარვის** შესაძლებლობის მქონე **ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელისა და შესაბამისი მულტიპლექს პლატფორმის** ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის დაგეგმარება[6].

2015 წლის 17 ივნისამდე, კერძოდ, გარდამავალ (პარალელური მაუწყებლობის) პერიოდში, სიხშირეების სიმწირის გამო, დაგეგმარებული იქნა **ზემოხსენებული შვიდი მულტიპლექს პლატფორმიდან** მხოლოდ **ორი პლატფორმის** ფორმირებისათვის საჭირო „დროებითი“ სიხშირული რესურსი[7], რომელთა საშუალებითაც, ერთ-ერთი მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში, პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, განხორციელდება არსებული ღია საეთერო სატელევიზიო პროგრამების ციფრულ ფორმატში გავრცელება.

გარდამავალი პერიოდის ამოწურვისას, მას შემდეგ, რაც გაითიშება ანალოგური ტელემაუწყებლობა და გამოთავისუფლდება შესაბამისი სიხშირული რესურსი, წინასწარ განსაზღვრული დაგეგმარების შესაბამისად, განხორციელდება გარდამავალ პერიოდში აგებული **ორი მულტიპლექს** პლატფორმისათვის „დროებით“ გამოყოფილი სიხშირული რესურსის ჩანაცვლება.

---

[5] დაგეგმარებისას, აგრეთვე გამოყენებულია მცირე რაოდენობით UHF სატელევიზიო არხები, რომლებიც თეორიული გათვლებით არ ქმნიან ინტერფერენციას მეზობელი სახელმწიფოების ციფრულ სატელევიზიო არხებთან, თუმცა აღნიშნული არხების კოორდინაცია მოლაპარაკების პროცესია და შესაბამისად ისინი არ არიან შეტანილი ჟენევა–06 გეგმაში.

[6] დოკუმენტი ხელმისაწვდომია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე- www.economy.ge

[7] Ibid

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ პერიოდში ხელმისაწვდომია, **მხოლოდ ორი ეროვნული ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს** პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსი, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისთანავე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - „კომისია“) გასცემს **ექვსი ეროვნული პლატფორმის** უზრუნველსაყოფად საჭირო სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას, ისევე როგორც ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმებისათვის განკუთვნილ რესურსს, შემდეგი სქემის მიხედვით:

მულტიპლექს პლატფორმები 1, 2, 3, 4 და 5)

სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის (ეროვნულ დონეზე დაფარვის შესაძლებლობის მქონე) ხუთი ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/ მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი ხელმისაწვდომი გახდება **ღია კონკურსის წესით.** მოცემული ხუთი **მულტიპლექს პლატფორმიდან** მხოლოდ ერთი მულტიპლექს **პლატფორმის** ფორმირებისათვის საჭირო „დროებითი“ სიხშირული რესურსი იქნება ხელმისაწვდომი გარდამავალ პერიოდში (მოცემული საკითხი უფრო დეტალურად განხილულია შემდგომ - პარაგრაფი 6.1).

მულტიპლექს პლატფორმა 6)

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმაში განთავსების უზრუნველყოფის მიზნით, მეექვსე მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი („დროებითი“ და ასევე შემდგომი პერიოდისათვის განკუთვნილი) სიხშირული რესურსი უსასყიდლოდ მიენიჭება **შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“** (მოცემული საკითხი უფრო დეტალურად განხილულია შემდგომ - პარაგრაფი 6.2).

ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმები

ადგილობრივი მაუწყებლების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, რომლებიც მცირე სამაუწყებლო ზონაში ვრცელდებიან, შეთავაზებული იქნება VHF III სიხშირულ დიაპაზონში არსებული რადიოსიხშირული რესურსი[8] ***ადგილობრივი*** (DVB-T ან T2 სტანდარტის) ***მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის.*** ამგვარი ადგილობრივი მაუწყებლებისათვის სიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება უსასყიდლოდ და ხელმისაწვდომი

[8] იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ციფრული სამაუწყებლო ზონის ფარგლებში VHF III დიაპაზონში ხელმისაწვდომი სიხშირეები არასაკმარისი იქნება ოპტიმალური ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის, ხოლო შესაბამის ციფრულ სამაუწყებლო ზონაში არსებობს თავისუფალი UHF რესურსი, დამატებით გამოყენებული იქნება 470-694 მჰც დიაპაზონში არსებული შესაბამისი რესურსი, ისევე როგორც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს VHF III დიაპაზონში ჟენევა–06 გეგმით გაუთვალისწინებელი სატელევიზიო არხები, თუმცა ERP-ის (ეფექტურად გამოსხივებული სიმძლავრე) ისეთი მნიშვნელობებით, რომლებიც თეორიული გათვლებით არ ქმნიან ინტერფერენციას მეზობელი სახელმწიფოების ციფრულ სატელევიზიო არხებთან.

იქნება ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდეგ (მოცემული საკითხი უფრო დეტალურად განხილულია შემდგომ - პარაგრაფი 6.3).

მულტიპლექს პლატფორმა 7)

მეშვიდე (ეროვნულ დონეზე დაფარვისა და **ათი ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე**) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი (რომელიც ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის 17 ივნისის შემდეგ და რომელიც განკუთვნილი იქნება ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელებისათვის) დარეზერვებული იქნება შემდგომი პერიოდისათვის, რომლის სარგებლობის უფლების გაცემაც განხორციელდება **მხოლოდ ღია კონკურსის ჩატარების შემდგომ,** ღია კონკურსის **შედეგების გათვალისწინებით**.

6.1 ღია კონკურსი, ხუთი მულტიპლექს პლატფორმა და შესაბამისი ვალდებულებები

ხუთი (ეროვნულ დონეზე დაფარვის შესაძლებლობის მქონე) ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლება (ლიცენზია) გაიცემა ღია კონკურსის წესით, ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად.

ღია კონკურსი ჩატარდება ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სექტორების დამოუკიდებელი მარეგულირებლის – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ.

კონკურსის ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდება შემდეგი სახის სხვადასხვა დანიშნულებისა და ტექნიკური სპეციფიკაციის ხუთი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი სიხშირული რესურსი **(შემდგომში „ლოტი“)**:

6.1.1 ლოტი A (მულტიპლექს პლატფორმა 1)

აღნიშნული ლოტის ფარგლებში, **კონკურსის დასრულებისთანავე,** ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული დაფარვისა და **ათი ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების** შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი „დროებითი“ სიხშირული რესურსი.

მოცემული სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (ღია კონკურსში გამარჯვებული) ვალდებული იქნება, 2015 წლის 17 ივნისამდე, **უზრუნველყოს ეროვნული დაფარვისა და ათი ციფრული ზონის შესაბამისად განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის**

გავრცელების შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირება[9].

2015 წლის 17 ივნისის (ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის) შემდგომ, მოცემული ლოტის ფარგლებში, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით, ხელმისაწვდომი გახდება სიხშირული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს **ათი ციფრული ზონისა და თითოეული ზონის ქვეზონების ფარგლებში (ადგილობრივ დონეზე)** განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებას.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება, ანალოგური მაუწყებლობის გამორთვის შემდეგ:

ა) ეტაპობრივად, ლიცენზიით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ჩაანაცვლოს გარდამავალ პერიოდში აგებული **მულტიპლექს** პლატფორმისათვის „დროებით“ გამოყოფილი სიხშირული რესურსი წინასწარ დაგეგმარებული და ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით ხელმისაწვდომი შესაბამისი რადიოსიხშირული რესურსით;

ბ) უზრუნველყოს, ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის შესაბამისად, ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის მოდიფიცირება და **ციფრული ზონების ქვეზონების ფარგლებში (ადგილობრივ დონეზე)** განსხვავებული სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე პლატფორმის ფორმირება.

ლოტი A-ს ფარგლებში ფორმირებულმა ქსელმა უნდა უზრუნველყოს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იგივე ტერიტორიაზე გავრცელება, რა ტერიტორიაზეც დღეს ანალოგურ ფორმატში ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რათა მოცემული პლატფორმით გავრცელებული სამაუწყებლო კონტენტი ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის. მოცემული მულტიპლექს პლატფორმა პირველ რიგში, განკუთვნილი უნდა იყოს ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად.

ლიცენზიის მფლობელმა, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ თავისუფალ რესურსთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება.

მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების (ტრანზიტული მაუწყებლობის) მისაწოდებლად, თუმცა მოცემული გულისხმობს, რომ მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა, ლიცენზიის მფლობელი, მოთხოვნის

[9] მოცემული ქსელის ფარგლებში „დროებითი“ სიხშირული რესურსის მინიჭება მნიშვნელოვანია, რათა ანალოგური მაუწყებლობის გათიშვასთან ერთად ქვეყნის მასშტაბით, ხელმისაწვდომი იყოს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პლატფორმა. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი (დროის სიმწირის მიუხედავად) შეძლებს ქსელის ფორმირება უზრუნველყოს პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, მოცემული ქსელით განხორციელდება მსურველი მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერით გავრცელება.

შემთხვევაში, ვალდებული იქნება, უპირობოდ უზრუნველყოს მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება.

6.1.2 ლოტი B (მულტიპლექს პლატფორმა 2)

აღნიშნული ლოტის ფარგლებში მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის (2015 წლის 17 ივნისის) შემდგომ, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული დაფარვისა და **ეროვნულ დონეზე ერთი და იგივე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელების** შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსი.

სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (ღია კონკურსში გამარჯვებული) ვალდებული იქნება **2015 წლის 17 ივლისამდე**, უზრუნველყოს ეროვნული დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის ფორმირება (ფორმირებულმა ქსელმა უნდა უზრუნველყოს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იგივე ტერიტორიაზე გავრცელება, რა ტერიტორიაზეც დღეს ანალოგურ ფორმატში ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რათა მოცემული პლატფორმით გავრცელებული სამაუწყებლო კონტენტი ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის), რომელიც განკუთვნილი უნდა იყოს, პირველ რიგში, ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული მაუწყებლების სატელევიზიო პროგრამების გასავრცელებლად.

ლიცენზიის მფლობელმა, ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ რესურსთან საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული/არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება. მაუწყებელთა მხრიდან ღია საეთერო ქსელში დაშვების მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილი იქნება, გამოიყენოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებული თავისუფალი რესურსი მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდებლად, თუმცა მოცემული გულისხმობს, რომ მიუხედავად ამგვარი უფლებამოსილებისა ლიცენზის მფლობელი, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებული იქნება უპირობოდ უზრუნველყოს მსურველი მაუწყებლის ქსელში დაშვება და ღია ეთერით გავრცელება.

6.1.3 ლოტი C, D და E (მულტიპლექს პლატფორმები 3, 4 და 5)

აღნიშნული სამი (**C, D და E**) ლოტის ფარგლებში, ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის (2015 წლის 17 ივნისის) შემდგომ, ლიცენზიის მოქმედების ვადის სრული პერიოდით, ხელმისაწვდომი გახდება ეროვნული დაფარვისა და **ეროვნულ დონეზე ერთი და იგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების** შესაძლებლობის მქონე მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსი.

მოცემული სამი ლოტის ფარლებში ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის მფლობელი პირი (პირები) ვალდებული იქნება, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სულ მცირე, მოსახლეობის არანაკლებ 50%-ის დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება როგორც მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მიწოდება, ასევე ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელება.

6.1.4 ღია კონკურსის მოდელი და რეკომენდაციები

ღია კონკურსის მოდელის შემუშავების პროცესში, მიზანშეწონილია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები[10]:

- შემუშავებული კონკურსის მოდელი საშუალებას უნდა აძლევდეს კონკურსის მონაწილეებს, წარმოადგინონ განაცხადი მათთვის მისაღები ლოტების კომბინაციაზე;
- ლოტების დასაშვები კომბინაცია, სასურველია, წინასწარ იყოს განსაზღვრული, რაც პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოფდეს იმ მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებას, რომლებიც განკუთვნილია საქართველოში ავტორიზებული ტელემაუწყებლების მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ღია საეთერო და მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული ფორმატით გასავრცელებლად (ლოტები A და B);
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, კონკურსის ფარგლებში განსაზღვრული იყოს შემდეგი სახის ლოტების დასაშვები კომბინაცია[11]:

[10] მოცემულის ფარგლებში გათვალისწინებულია EBRD-ის კონსულტანტების რეკომენდაციები ღია კონკურსის მოდელთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია ცალკე დოკუმენტის სახით

[11] ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, მოცემული მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება ღია საეთერო პლატფორმების ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსის გაცემა და შესაბამისად ამგვარი ქსელების/მულტიპლექს პლატფორმების ფორმირება.

A+0	B+0	A+B
A+1	B+1	A+B+1
A+2	B+2	A+B+2
A+3	B+3	A+B+3

შენიშვნა: ვინაიდან C, D და E ლოტების ფარგლებში ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსი განკუთვნილია ერთი და იგივე ტიპის მულტიპლექს პლატფორმების ფორმირებისათვის, ლოტების დასაშვები კომბინაციის ფარგლებში აღნიშნული ნუმერაცია 1, 2 და 3 გულისხმობს C, D და E ლოტებიდან ნებისმიერ ერთ, ორ ან სამივე ლოტზე განაცხადის წარმოდგენას;

- მიზანშეწონილია, კონკურსის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ წარმოადგინონ საკონკურსო განაცხადი ზემოაღნიშნული ლოტების ნებისმიერი რაოდენობის კომბინაციაზე;

- ასევე, სასურველია, კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილ იქნეს, კონკურსის მონაწილეებმა წარმოადგინონ ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- კონკურსის ფარგლებში მონაწილეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს **ტექნიკურ და ფინანსურ/სატარიფო წინადადებებს**, რომელთა შფასებაც უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და კრიტერიუმების შესაბამისი ქულებისა და კოეფიციენტების შესაბამისად.

- ტექნიკური წინადადების შეფასებისას, სასურველია, დამატებით კრიტერიუმს წარმოადგენდეს კონკურსის მონაწილის A და/ან B მულტიპლექს პლატფორმების ოპერირების კონცეფცია (**არსებული** საეთერო/თანამგზავრული ლიცენზიის მფლობელი და ავტორიზებული **ტელემაუწყებლების** მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების **საეთერო ქსელში** (A და/ან B მულტიპლექს პლატფორმებში) განთავსების კონცეფცია), რომელიც იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილის მიერ გამყარებული იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ, შესაბამის მოქმედ მაუწყებელთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებით[12] (ურთიერთგანზრახვის შეთანხმებით), დამატებითი ქულებით შეფასდება[13], მაგალითად[14]:

[12] ორი სხვადასხვა კონკურსის მონაწილის მიერ ერთ მაუწყებელთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულების წარმოდგენის შემთხვევაში, ორივე მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დამატებითი ქულებით შეფასების გარეშე დარჩება.

[13] ამგვარი მიდგომა პირველ რიგში უპირატესობას მისცემს არსებულ საეთერო და არასაეთერო მაუწყებლებს, კერძოდ გარდა იმისა, რომ შესაძლებლობა ეძლევათ მაუწყებლებს, ნებისმიერი ფორმით, (დამოუკიდებლად ან სხვა პირის თანამონაწილეობით) თავად შეიტანონ საკონკურსო განაცხადი მათთვის მისაღებ ლოტზე და მოიპოვონ შესაბამისი ლიცენზია, მაუწყებლებთან არააფაილირებულ პირსაც ეძლევა შესაძლებლობა წინასწარ განსაზღვროს ღია საეთერო პლათფორმის ოპერირებასთან დაკავშირებული ბიზნეს მოდელი მაუწყებელბისაგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

[14] მოცემული წარმოადგენს მაგალითს, როლიც დაზუსტდება ღია კონკურსისი გამოცხადების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებით.

ა)	ეროვნულ საეთერო მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულება	10 ქულა
ბ)	ადგილობრივ[15] საეთერო მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულება	2 ქულა
გ)	თანამგზავრული ლიცენზიის მფლობელ და/ან ავტორიზებულ მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულება[16]	1 ქულა

- ვინაიდან კონკურსის ფარგლებში განსაზღვრული არ იქნება მულტიპლექს პლატფორმების შესაბამისი სიხშირული რესურსით სარგებლობის კონკრეტული საფასური, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს პოტენციურ ინვესტორებს, მათ მიერ არჩეული ლოტების კომბინაციის შესაბამისი ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით, თავად განსაზღვრონ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის მათთვის მისაღები მაქსიმალური საფასური, **საკონკურსო წინადადების ფინანსური/ სატარიფო პირობების** შეფასების მეთოდიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

  ა) კონკურსის მონაწილის მიერ განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის მაქსიმალური საფასური, რომელიც სრულად ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;
  ბ) კონკურსის მონაწილის მიერ განსაზღვრული ღია საეთერო სამაუწყებლო პროგრამების მულტიპლექს პლატფორმაზე/პლატფორმებზე განთავსების ღირებულების ზედა ზღვარი[17];

[15] თუ ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი წინასწარ შეთანხმებას გააფორმებს კონკურსის მონაწილესთან, მიჩნეულ იქნება, რომ იგი უარს ამბობს ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი სიხშირული რესურსის მინიჭებაზე.

[16] მაუწყებელი, რომელიც ფლობს როგორც საეთერო და/ან თანამგზავრულ ლიცენზიას და ამავე დროს გავლილი აქვს ავტორიზაცია (რომლის ფარგლებშიც ახორციელებს ერთი და იგივე სამაუწყებლო კონტენტის გავრცელებას) მიჩნევა ერთ სუბიექტად.

[17] რაც შეეხება ღია ეთერით გავრცელების ტარიფის რეგულირებას, უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტული ღია საეთერო სამაუწყებო პლატფორმების არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, არ არსებობს ტარიფების რეგულირების საჭიროება, დამატებით, ღია კონკურსის ფარგლებში A და B ლოტის შესაბამისი ლიცენზის მსურველები ვალდებული იქნებიან წამოადგინონ მოცემული მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფი, ხოლო კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იქნება უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ რესურსთან საქართველოში ავტორიზებული სხვა მაუწყებლების არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და არაუმეტეს საკონკურსო განაცხადით შემოთავაზებული ტარიფით დაშვება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი უკვე მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის წინასწარი რეგულირების საკითხებს, კერძოდ განსაზღვრავს ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების გამოვლენისა და მათზე შესაბამისი სპეციფიური ვალდებულებების (კერძოდ, ინფორმაციის გამჭვირვალეობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის, ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებისა და სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებების) დაკისრების წესებს, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კი უფლებამოსილია რეგულარულად ჩაატაროს ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევა და ანალიზი, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს/პირებს დაუდგინოს შესაბამისი სპეციფიური ვალდებულებები და/ან გადასინჯოს დაკისრებული ვალდებულებების გაუქმების საკითხი ბაზრის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კომისია მიიჩნევს, რომ ბაზარზე შექმნილი სიტუაცია, ვერ შეძლებს თავად დაარეგულიროს მოცემული ტარიფები, კომისია, დღევანდელი კანონმდებლობის ფარგლებში, რომელიც ჰარმონიზებულია ევროკავშირის ფარგლებში არსებულ მარეგულირებელ ნორმებთან, უზრუნველყოფს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე გამოვლენილი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებისათვის შესაბამისი მომსახურების ტარიფის დადგენას.

- სასურველია, კონკურსის მონაწილეების შეფასებისას უპირატესობა ენიჭებოდეთ იმ მონაწილეებს, რომლებიც ლოტების დასაშვები კომბინაციის ფარგლებში წარმოადგენენ ნაკლები რაოდენობის ლოტებისაგან ფორმირებულ საკონკურსო განაცხადს, მაგალითად[18]:

A+0	100%	B+0	95%	A+B	95%
A+1	90%	B+1	85%	A+B+1	85%
A+2	80%	B+2	75%	A+B+2	75%
A+3	70%	B+3	65%	A+B+3	65%

6.2 მულტიპლექს პლატფორმა 6/საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის განკუთვნილი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელი

ქვეყანაში საინფორმაციო წვდომის უსაფრთხოების შენარჩუნებისა და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, სერვისის უხარვეზოდ მიწოდების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო მიზნად ისახავს, ეფექტური ნაბიჯები გადადგას **საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამების ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო პლატფორმაში განსათავსებლად**, როგორც პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, ასევე ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ.

ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე დადგენილ ვადებში გადასვლის უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო („დროებითი“ და ასევე შემდგომი პერიოდისათვის განკუთვნილი) რადიოსიხშირული რესურსი, ისევე, როგორც სადისტრიბუციო ქსელში გაერთიანებული რადიოსარელეო კავშირის ხაზების სადგურების ფუნქციონირებისათვის საჭირო ოპტიმალური რადიოსიხშირული რესურსი უსასყიდლოდ მიენიჭება **შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“**, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება **(ეროვნულ დონეზე ერთი და იგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე)** ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის (სადისტრიბუციო ქსელის ჩათვლით) **2015 წლის პირველ მარტამდე** აგება და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების ღია ეთერში გავრცელება.

გარდამავალ (პარალელური მაუწყებლობის) პერიოდში მოცემული მულტიპლექს პლატფორმა განახორციელებს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამების, ასევე მოცემული დოკუმენტით განსაზღვრული (უპირველეს ყოვლისა არსებული ეროვნული საეთერო მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელებას.

[18] მოცემული წარმოადგენს რეკომენდაციასა და მაგალითს, როლიც დაზუსტდება ღია კონკურსისი გამოცხადების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებით.

საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმა უზრუნველყოფს სამაუწყებლო სიგნალის სულ ცოტა იგივე ტერიტორიაზე გავრცელებას, რა ტერიტორიაზეც დღეს ანალოგურ ფორმატში ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებელი, რათა მოცემული პლატფორმით გავრცელებული სამაუწყებლო კონტენტი ხელმისაწვდომი იყოს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-თვის.

აღნიშნული მულტიპლექსით გადაცემულ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებულ, სამაუწყებლო პროგრამებთან მოსახლეობის წვდომა ყოველთვის უფასო იქნება, რომლის ფარგლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობისთვის საგანგებო სიტუაციების შესახებ სპეციალური შეტყობინების მიწოდება.

კონკურენციის უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრს“ ეზღუდება ღია კონკურსში მონაწილეობის უფლება, ისევე, როგორც არ ექნება უფლება ა) საზოგადოებრივ მულტიპლექს პლატფორმაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების განთავსების შემდეგ დარჩენილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თავისუფალი რესურსი აბონენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოიყენოს მომხმარებელთათვის ფასიანი კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო მომსახურების მისაწოდბლად და/ან ბ) მაუწყებლებთან მოლაპარაკების შედეგად თავად უზრუნველყოს, თავისუფალი რესურსის ფარგლებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული სატელევიზიო პროგრამების გავრცელება. თუმცა საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში თავისუფალი რესურსის ეფექტურად გამოყენების მიზნით, შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ ვალდებული იქნება, უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფოტრმაში არსებულ თავისუფალ რესურსთან (მოთხოვნის შემთხვევაში) პირველი, მეორე და მეშვიდე მულტიპლექს პლატფორმის შესაბამისი ლიცენზიის მფლობელების დაშვება ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით.

6.3 ადგილობრივი მაუწყებლობის ხელშეწყობა და ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირება

ვინაიდან ქვეყნის მიზანია, ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების ინტერესები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტელემაუწყებლობის ბაზრის შემდგომ განვითარებას, დოკუმენტი ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობებს ადგილობრივი საეთერო მაუწყებლებისათვის, კერძოდ:

ა) ადგილობრივ მაუწყებლებს, რომლებსაც სურთ, შეინარჩუნონ **მხოლოდ სამაუწყებლო საქმიანობა** და მათ მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტი ღია ეთერში გაავრცელონ მხოლოდ მცირე რადიუსით (დღეისათვის არსებული

ლიცენზიით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით - კონკრეტული ციფრული სამაუწყებლო ზონის ქვეზონაში (ადგილობრივ დონეზე)), ან გაზარდონ მაუწყებლობის არეალი, როგორც ერთ ან რამდენიმე ციფრულ ზონაზე, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, შესაძლებლობა ეძლევათ შესაბამისი საფასურის გადახდის გზით განთავსდნენ ერთ-ერთ ციფრულ მიწისზედა საეთერო სამაუწყებლო მულტიპლექს პლატფორმაში.

ბ) ადგილობრივ მაუწყებლებს (საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებს), რომლებსაც **სამაუწყებლო საქმიანობის პარალელურად** სურთ, უზრუნველყონ **ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება** დღეისათვის არსებული ლიცენზიით განსაზღვრული არეალის შენარჩუნებით**,** რათა მათ მიერ წარმოებული სამაუწყებლო კონტენტი ღია ეთერში გაავრცელონ მხოლოდ მცირე რადიუსით (კონკრეტული ციფრული სამაუწყებლო ზონის ქვეზონაში (ადგილობრივ დონეზე), მოცემული პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ამგვარი მაუწყებლებისათვის **ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის** საჭირო რადიოსიხშირული რესურსის უსასყიდლოდ მინიჭებას, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- თუ ერთი და იგივე ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, კომისია (მაუწყებლის მიერ 2014 წლის მაისის ბოლომდე შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში), უზრუნველყოფს ღია კონკურსის გარეშე, უსასყიდლოდ, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის ამგვარი მაუწყებლისათვის მინიჭებას.
- თუ ადგილობრივ ზონაში ფუნქციონირებს ერთზე მეტი ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, რომელთაც სურვილი აქვთ უზრუნველყონ **ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება,** კომისია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას უსასყიდლოდ და ღია კონკურსის გარეშე მიანიჭებს არსებულ ადგილობრივ საეთერო მაუწყებელთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, მისი 2014 წლის მაისის ბოლომდე ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემთხვევაში.

ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების უზრუნველსაყოფად საჭირო რადიოსიხშირული რესურსის მინიჭება განხორციელდება ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფორმირებისა და კომისიაში შესაბამისი განაცხადის წარდგენისათვის დადგენილი ვადის ამოწურვიდან ორი თვის განმავლობაში, (მინიჭებული სიხშირული რესურსის გამოყენება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ანალოგური მაუწყებლობის გათიშვის შემდგომ), შემდეგი პირობებით:

- რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი ადგილობრივი მაუწყებელი/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ვალდებული იქნება:

ა) უზრუნველყოს ადგილობრივი მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირება 2016 წლის 1 მარტამდე;
ბ) შესაბამისობაში მოიყვანოს ციფრულ ტექნოლოგიაზე მომუშავე გადამცემი სადგურების ეფექტურად გასხივებული სიმძლავრეები (ERP) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ რადიოსიხშირული დაგეგმარების ტექნიკურ მახასიათებლებთან;

- ადგილობრივი მაუწყებლის/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების მიერ ფორმირებული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს **მხოლოდ ღია საეთერო და/ან მომხმარებელთათვის უფასო კრიპტო-კოდირებული (საქართველოში ავტორიზებული მაუწყებლების) სატელევიზიო პროგრამების გავრცელება;**

- რადიოსიხშირული რესურსის მფლობელმა ადგილობრივმა მაუწყებელმა/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებამ, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში არსებულ თავისუფალ რესურსთან მსურველი (საქართველოს ფარგლებში ავტორიზებულ) მაუწყებლების არადისკრიმინაციული დაშვება.

ადგილობრივი ციფრული სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისას შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, **DVB-T სტანდარტი და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG2 ან MPEG4 ტექნოლოგია,** იმ შემთხვევაში, თუ მოცემული სტანდარტით აგებული ადგილობრივი მიწისზედა ციფრული სამაუწყებლო ქსელი, ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში გაერთიანებული, ყველა მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამის სტანდარტული გარჩევადობის (SD) ფორმატში გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მაუწყებელს/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებას სიხშირული რესურსის გამოყენების უფლება ექნება მხოლოდ ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვის შემდგომ, ადგილობრივ მაუწყებელი/ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანება ოპერატიულად მოქმედების შემთხვევაში შეძლებს, 2015 წლის 17 ივნისამდე განახორციელოს ქსელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა მოსამზადებელი სამუშაო და ანალოგური მაუწყებლობის გათიშვიდან უმოკლეს ვადაში ექპლუატაციაში გაუშვას ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმა.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადგილობრივ ზონაში ჩამოყალიბდა ერთზე მეტი გაერთიანება (და/ან რომელიმე ადგილობრივი საეთერო მაუწყებელი, მისი სურვილის მიუხედავად, ვერ გაერთიანდა შესაბამის ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანებაში) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ღია კონკურსის წესით, განახორციელებს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო რადიოსიხშირული რესურსის გაცემას.

ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმების ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განახორციელებს საეთერო ლიცენზიის მფლობელ ადგილობრივ მაუწყებელთა გამოკითხვასა და მათ შესაბამის ინფორმირებას.

7. ტექნიკური მოთხოვნები და რეკომენდაციები

7.1 „ოპერირების წესები“ და მასთან შესაბამისობა

ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე ეფექტურად მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებულ იქნა ციფრული სამაუწყებლო ქსელების „ოპერირების წესები[19]“. „ოპერირების წესები“ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობასთან დაკავშირებულ ტექნიკური პარამეტრების ნუსხას, მათ შორის, ციფრული სიგნალის გადაცემის წესებს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა მულტიპლექს პლატფორმების ფარგლებში გავრცელებული ყველა სიგნალების ერთი მიმღები აპარატურის საშუალებით მიღებას.

საქართველოს მთავრობა გასცემს რეკომენდაციას, რომ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილი რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი ყველა პირი დაექვემდებაროს ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლისათვის შექმნილი დოკუმენტის - „ოპერირების წესების“ - მოთხოვნებს და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ოპერატორებთან მოლაპარაკების შედეგად დახვეწოს/ გააუმჯობესოს არსებული დოკუმენტი.

7.2 დაფარვის ვალდებულებები და რეკომენდაციები

პოტენციური ინვესტორებისა და კონკურსის მონაწილეების მხარდასაჭერად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ეროვნული (არანაკლებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგური საეთერო ქსელის) დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო (სადისტრიბუციო და გადამცემი) ქსელის სავარაუდო დაგეგმარებას, ხარჯების გაანგარიშების სავარაუდო მოდელსა და ქსელისა და სერვისების ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და პარამეტრებს.[20]

ტექნიკური გათვლები გვიჩვენებს, რომ ციფრული მიწისზედა ტელემაუწყებლობის ქსელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალოგური სამაუწყებლო ქსელის ექვივალენტური დაფარვის უზრუნველსაყოფად, საჭიროებს შპს „საქართველოს

[19] ოპერირების წესების დოკუმენტი ხელმისაწვდომია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე- www.economy.ge

[20] დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე- www.economy.ge

ტელერადიოცენტრის“ 42 ძირითადი სადგურისა (ან მისი ექვივალენტის) და ჩრდილოვანი ზონებისათვის საორიენტაციოდ სამოცი დაბალი სიმძლავრის გადამცემის, ე.წ. რეტრანსლატორის გამოყენებას.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა გასცემს რეკომენდაციას, რომ ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელით ეროვნულ დონეზე დაფარვის უზრუნველსაყოფად გადამცემი აპარატურა დამონტაჟებული იყოს შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის“ არსებულ 42 სადგურზე, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის გამო. თუმცა მულტიპლექს ოპერატორებს არ ეზღუდებათ წარმოადგინონ ქსელის დაგეგმარების განსხვავებული მოდელი და ქსელის ფორმირების პროცესში განახორციელონ ალტერნატიული სადგურების გამოყენება.

ალტერნატიული სადგურების გამოყენების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მათ შორის ველის დაძაბულობის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, მომხმარებელთა სატელევიზიო სიგნალის გამაძლიერებელი აპარატურისათვის შექმნილი ხელშეშლების აღმოფხვრა, მომხმარებელთათვის სიგნალის შეუფერხებლად მიღების უზრუნველყოფა და ა.შ).

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ ვალდებული იქნება, უზრუნველყოს (ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი) რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელი ყველა პირის დაშვება მის ხელთ არსებულ ინფრასტრუქტურასთან, ტექნიკურ საშუალებებთან და განახორციელოს შესაბამისი მომსახურების მიწოდება არადისკრიმინაციული, ერთგვაროვანი პირობებითა და ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფებით.

8. პარალელური მაუწყებლობის პერიოდი

პარალელური მაუწყებლობის პერიოდი უნდა მოიცავდეს არანაკლებ სამთვიან, 2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 17 ივნისამდე, პერიოდს.

საზოგადოებრივი მულტიპლექს პლატფორმა (ეროვნულ დონეზე ერთიდაიგივე სატელევიზიო კონტენტის გავრცელების შესაძლებლობის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელი) - პარალელური მაუწყებლობის პერიოდში, ალტერნატიული ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელების ფორმირებამდე, უზრუნველყოფს, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროგრამების, ასევე არსებული ეროვნული საეთერო მაუწყებლების[21] (შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-სა და შპს ტელეიმედის მიერ შესაბამისი ლიცენზიების ფარგლებში წარმოებული საერთო საეთერო და შპს ტელეკომპანია „I სტერეოს“ მიერ წარმოებული საეთერო სპეციალიზებული) სატელევიზიო პროგრამების სტანდარტული გარჩევადობის ფორმატში უფასოდ (მაუწყებლებისათვის უსასყიდლოდ) გავრცელებას. მოცემული მულტიპლექს პლატფორმის ფარგლებში ასევე განხორციელდება იმ ადგილობრივი საეთერო მაუწყებლების მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამების გავრცელება, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ **მხოლოდ სამაუწყებლო საქმიანობა** და საქართველოს

[21] საეთერო მაუწყებელი, რომლის სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი და ლიცენზიით განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრებიც, მის მიერ წარმოებული შესაბამისი სატელევიზიო კონტენტის ეროვნული დონეზე მაუწყებლობის საშუალებას იძლევა

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში უარს განაცხადებენ (როგორც ადგილობრივ მაუწყებელთა გაერთიანების ფარგლებში, ასევე დამოუკიდებლად) ადგილობრივი მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის დაგეგმარებული სიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებაზე. მოცემულის გათვალისწინებით, ამგვარი ადგილობრივი მაუწყებლების მიერ წარმოებული ტელეპროგრამების გავრცელება პარალელური მაუწყებლობის პერიოდში განხორციელდება (უსასყიდლოდ) საქართველოს მასშტაბით.

პარალელური მაუწყებლობის პერიოდში ციფრულ მიწისზედა სამაუწყებლო ქსელში განთავსების უფლების მქონე ზემოაღნიშნული მაუწყებლები, ვალდებულები იქნებიან საკუთარი ხარჯებით მიაწოდონ („საზოგადოებრივი“) ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის შესაბამის ელემენტს (ე.წ. „Head end“-ს) სტანდარტული გარჩევადობის[22] სატელევიზიო სიგნალი არამოდულირებული და არაშემჭიდროებული ფორმით, ისევე, როგორც ელექტრონული პროგრამების გზამკვლევისათვის (EPG) გადაცემათა პროგრამის შესაბამისი ნუსხა XML ფორმატში.

9. საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელთა კომპენსირება

არსებული საეთერო ტელემაუწყებლების უმრავლესობა ფლობს ლიცენზიებს, რომელთა მოქმედების ვადაც სცილდება ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვისათვის დადგენილ თარიღს (2015 წლის 17 ივნისს), ხოლო ლიცენზიის მფლობელთა დიდ ნაწილს კი სალიცენზიო გადასახდელი სრულად ან ნაწილობრივ, (თუმცა 2015 წლის 17 ივნისის შემდგომი პერიოდის გათვალისწინებით) აქვთ გადარიცხული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა გასცემს რეკომენდაციას, რომ:

ა) საეთერო ტელე-მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელებს, რომელთაც სრულად ან ნაწილობრივ, 2015 წლის 17 ივნისის შემდგომი პერიოდის გათვალისწინებით გადახდილი აქვთ სალიცენზიო გადასახდელი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუნაზღაურდეთ ლიცენზიაში გადახდილი შესაბამისი თანხის ნაწილი, წლების პირდაპირპროპორციულად, ანალოგური მაუწყებლობის გათიშვისათვის დადგენილი თარიღიდან (2015 წლის 17 ივნისს) შესაბამისი ლიცენზიის ვადის გასვლამდე დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით.
ბ) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განახორციელეოს საეთერო ტელემაუწყებელთა ლიცენზიების მოდიფიცირება ისეთი სახით, რომლის შესაბამისად გათვალისწინებული იქნება, მხოლოდ 2015 წლის 17 ივნისამდე სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.

[22] სტანდარტული გარჩევადობის პროგრამული პაკეტი მიწოდებული უნდა იქნეს SD-SDI სერიული გარჩევადობის ინტერფეისის ფორმატში, რომელიც შეესაბამება SMPTE259M სტანდარტს, 270 მგბ/წმ ნომინალური მონაცემთა გადაცემის სიჩქარით.

ბ) ყველა საეთერო ლიცენზიის მფლობელს, რომელსაც არ მიენიჭება და /ან რომელიც კონკურსის წესით ვერ მოიპოვებს ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/ მულტიპლექს პლატფორმის ფორმირებისათვის განკუთვნილ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლებას (მათ შორის საზიარო უფლებას) არსებული ლიცენზიის მოქმედების პერიოდით, მიენიჭოს ლიცენზიის ფარგლებში წარმოებული სამაუწყებლო კონტენტის ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელე-სამაუწყებლო ქსელში სავალდებულო განთავსების („სავალდებულო დაშვების“) უფლება.

10. სამომხმარებლო საკითხები, სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკა და საინფორმაციო უზრუნველყოფა

ციფრულ მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მაუწყებლობის სფეროში ფართომასშტაბიანი სახელწიფო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის საინფორმაციო უზრუნველყოფას, ისევე, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების სუბსიდირების საკითხს. პროცესის წარმატებით განხორციელება სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, საჭიროებს მაუწყებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ელექტრონული და ბეჭდვითი პრესისა და სავაჭრო კომპანიების აქტიურ ჩართულობას.

რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულია ა) სოციალურად დაუცველი იმ ოჯახების დახმარების („სეთ-თოფ-ბოქსებით“ უზრუნველყოფა /დამონტაჟება) საკითხი, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულაც ნაკლებია 70 000-ზე (ამჟამად მათი რიცხვი 225 000-დან-240 000-მდე მერყეობს[23]), ისევე როგორც ბ) საინფორმაციო უზრუნველყოფის ღონისძიებათა დაფინანსების საკითხი.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სამუშაოთა კოორდინირებულად წარმართვის, კერძოდ, მოსახლეობის, მაუწყებლების, პოტენციური ინვესტორებისა და ტექნიკის შემომტანი კომპანიების რეფორმის მნიშვნელოვანი ასპექტებისა და საჭირო ქმედებების შესახებ ინფორმირების, ისევე, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახების **შესაბამისი სუბსიდიებით ოპტიმალურად უზრუნველყოფის** მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **„ციფრული მაუწყებლობის სააგენტო“,** რომელიც ფუნქციონირებას განახორციელებს ციფრულ მაუწყებლობაზე მიგრაციის პროცესის დასრულებამდე.

[23] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სსიპ - „ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ შეთანხმებული ფორმატითა და ვადებში მიაწოდებს იმ ოჯახების სიას, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 70 000-ზე.

სსიპ - **„ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს“ ფუნქციონირების ფარგლებში** მოსახლეობისა და დაინტერესებული პირების საინფორმაციო უზრუნველყოფისა და შესაბამისი დახმარების ოპერატიულად აღმოჩენის მიზნით:

- ამოქმედდება 24/7 მულტიენოვანი საინფორმაციო ცხელი ხაზი;
- შეიქმნება სპეციალური საინფორმაციო ვებ-გვერდი (www.digitaltv.ge), სადაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, განთავსდება შესაბამისი ტექსტური და ვიდეო ინფორმაცია; ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველაზე პოპულარულ ფორუმზე, სოციალურ ქსელებში და ბლოგებზე;
- უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობისათვის ინფორმაციის სისტემატურად მიწოდება იმ სავაჭრო ობიექტების შესახებ, რომლებიც აწარმოებენ სერტიფიცირებული „სეთ-თოფ-ბოქსების“ რეალიზაციას;
- განხორციელდება საინფორმაციო სახის სოციალური რეკლამებისა და კლიპების დამზადება და უზრუნველყოფილი იქნება მედიის საშუალებებით გავრცელება;
- ჩატარდება სპეციალური სატრეინინგო სესიები ჟურნალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის;
- განხორციელდება გამყიდველებისა და მომხმარებლებისათვის საცნობარო ბუკლეტების შედგენა და შესაბამის საცალო სავაჭრო ობიეტებში დისტრიბუცია.